საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010100542184623

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№5994 30 / მაისი / 2023 წ.

ქალბატონ მირანდა თეთრაძეს

ელფოსტა: foi+request-1571-e067a87d@askgov.ge
foi+request-1923-e9415fbc@askgov.ge

ქალბატონო მირანდა,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი მომართვების (რეგისტრაციის №01/12063; №01/11081; №01/11078; №01/11504) პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2013-2023 წლების განმავლობაში იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა მიმართ შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავა არ წარმოებულა.

2013-2023 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს მიმართ შეტანილი საჩივრების რაოდენობის თაობაზე ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://echr.coe.int/Pages/home.aspx?p=reports&c .

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების შინაარსი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის ცნობილი ხდება მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლო საქართველოს მთავრობას უგზავნის შეტყობინებას საქმის განხილვის დაწყების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საჩივრების უმრავლესობა სტრასბურგის სასამართლოს მიერ ცხადდება მიუღებლად საწყის ეტაპზევე, მთავრობისთვის შეტყობინების გამოგზავნისა და პოზიციის წარდგენის მოთხოვნის გარეშე. შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროსთვის უცნობია ზემოხსენებულ პერიოდში საქართველოს მიმართ წარდგენილი ყველა საჩივრის შინაარსი.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობისათვის პოზიციის წარსადგენად სტრასბურგის სასამართლოს მიერ გადმოგზავნილ საჩივრებს და საქმისწარმოების შედეგებს, აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და მომართვაში მითითებული დეტალების მოძიება შესაძლებელია ევროპული სასამართლოს HUDOC საძიებო სისტემის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: HUDOC - European Court of Human Rights (coe.int).

იუსტიციის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტენდერების თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყოველთვიური საწვევის ლიმიტი დამტკიცებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სალომე რთველაძე